ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2577913

ნომერი: AR1399262

თარიღი : 22.04.2016

გაცემის თარიღი : 11.05.2016

გაცნობის თარიღი : 11.05.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბეთლემი , N 24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბახვა რუხაძე პ/ნ 01018004722
- ირაკლი აბაშიძის 47

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თორნიკე ერისთავი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. N24–ში არსებულ შენობის რეკონსტრუქციის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 21.04.2009 წლის Nლეგ–320 ბრძანების მე–4 პუნქტით ობიექტს მინიჭებული აქვს "შეუსაბამო" უძრავი ობიექტის სტატუსი. განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4–13 გადაწყვეტილების თანახმად, შეუსაბამო ობიექტი არის მიწის ნაკვეთი ან/და შენობა-ნაგებობა, რომელიც არ შეესაბამება მოცემული ზონის, ამ წესებით დადგენილ, რეგლამენტებს, და, ამასთან, პერესპექტივაში მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა შესაძლებელია. ამავე დადგენილების 27–ე მუხლის მე–4 პუნქტით დაშვებულია ”შეუსაბამო“უძრავი ობიექტების ისეთი ექსპლუატაცია (გამოყენება, განვითარება) და რემონტი, რომელიც არ ზრდის შეუსაბამობის არსებულ ხარისხს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტების გამოყენებასა და განაშენიანებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ქმედებების გარდა, საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ ნომენკლატურაში: ელექტრონული განცხადებები: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები>ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა და მოითხოვოთ შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტების გამოყენებასა და განაშენიანებასთან დაკავშირებით სპეციალური ზონალური შეთანხმება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.